

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 10

შუალედური ფინანსური ანგარიშგება და გაუფასურება

წყაროები

- ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“.
- ბასს 34 – „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“.
- ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“.

ამოსავალი ინფორმაცია

1. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას საწარმოს მოეთხოვება გუდვილის შეფასება გაუფასურებაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარება ამ თარიღის მდგომარეობით ბასს 36-ის შესაბამისად. თუმცა, მომდევნო საანგარიშგებო თარიღისათვის პირობები შეიძლება ისე იყოს შეცვლილი, რომ გაუფასურების ზარალი შემცირებული იყოს ან საერთოდ აღარ არსებობდეს, თუ გაუფასურება მხოლოდ ამ თარიღისათვის შეფასდებოდა. წინამდებარე ინტერპრეტაცია შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, როდისმე შეიძლება თუ არა ამგვარი გაუფასურების ზარალის ანულისრება.
2. მოცემული ინტერპრეტაცია ეხება ბასს 34-ის მოთხოვნებსა და ბასს 36-ის გუდვილის გაუფასურების ზარალის აღიარების მოთხოვნებს შორის ურთიერთქმედებას, ასევე ამ ინტერპრეტაციის გავლენას მომდევნო პერიოდის შუალედურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

განსახილველი საკითხი

3. ბასს 34 –ის 28-ე პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში იგივე საადრიცხვო პოლიტიკა გამოიყენოს, რომელსაც წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის იყენებს. აქვე აღნიშნულია, რომ: „საწარმოს ანგარიშგების სიხშირემ (წლიური, ნახევარწლიური ან კვარტალური) ზეგავლენა არ უნდა იქონიოს მისი წლიური შედეგების შეფასებებზე. ამ მიზნით, შუალედური ანგარიშგების შეფასებები უნდა გაკეთდეს წლის მოცემულ თარიღამდე განვლილი პერიოდის საფუძველზე“.
4. ბასს 36-ის 124-ე პუნქტში აღნიშნულია: „დაუშვებელია გუდვილის გაუფასურების აღიარებული ზარალის ანულისრება მომავალ პერიოდებში“.
- 5-6. [გაუქმებულია]
7. წინამდებარე ინტერპრეტაცია ეხება შემდეგ საკითხებს:

უნდა მოახდინოს თუ არა საწარმომ შუალედურ პერიოდში გუდვილთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალის ანულისრება, თუ ეს ზარალი არ აღიარდებოდა, ან უმნიშვნელო ზარალი აღიარდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების შეფასება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განხორციელდებოდა.

კონსენსუსი

8. საწარმომ არ უნდა მოახდინოს წინა შუალედურ პერიოდში გუდვილთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალის ანულისრება.
9. საწარმომ ამ ინტერპრეტაციის კონსენსუსი ანალოგიურად არ უნდა გაავრცელოს სხვა სფეროებზეც, რომლებიც ბასს 34-სა და სხვა სტანდარტებს შორის პოტენციურ წინააღმდეგობებს მოიცავს.

ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები

10. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს 2006 წლის 1 ნოემბერს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რეკომენდებულია ვადამდელი გამოყენებაც. თუ საწარმო ამ ინტერპრეტაციას 2006 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამყდონოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. საწარმომ მოცემული ინტერპრეტაცია გუდვილთან მიმართებით უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად იმ თარიღიდან, როდესაც პირველად გამოიყენა ბასს 36, ხოლო წილობრივ ინსტრუმენტებში ან თვითღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის - პერსპექტიულად იმ თარიღიდან, როდესაც პირველად გამოიყენა ბასს 39-ის შეფასების კრიტერიუმები.
- 11-13. [გაუქმებულია]
14. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია 1-ლი, მე-2, მე-7 და მე-8 პუნქტების შეცვლა და მე-5, მე-6, 11-13-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.